

**სამაგისტრო ტესტები**  
**“საერთაშორისო ურთიერთობებში”**

ტესტი №1

**პოლიტიკური რეალიზმის თანახმად:**

1. პოლიტიკა იმართება ეკონომიკური კანონებიდან გამომდინარე;
2. პოლიტიკა, ისევე როგორც საზოგადოება, იმართება ობიექტური კანონებით;
3. პოლიტიკა იმართება კონსტიტუციიდან გამომდინარე;
4. პოლიტიკა იმართება მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურთა სუბიექტური მოსაზრებებით.

ტესტი №2

**საერთაშორისო პოლიტიკა არის:**

1. მთავრობის ადმინისტრირებისა და სამართლის სფერო;
2. მთავრობათა ურთიერთშეთანხმების სფერო;
3. მთავრობათა ძალის, ბრძოლისა და ურთიერთშეთანხმების სფერო;
4. მთავრობათა შორის პოლიტიკური ბრძოლის სფერო.

ტესტი №3

**საერთაშორისო სისტემა არის:**

1. შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები, ჯგუფები და სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობენ;
2. სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები, ჯგუფები და სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობენ;

3. სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ინტერესების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობენ;
4. განსხვავებული ერთეულების ერთობლიობა, რომელსაც ანარქიულობა ახასიათებს.

#### ტესტი №4

**ირედენტიზმი თანამედროვე პოლიტიკური გაგებით ნიშნავს:**

1. ნებისმიერ ტერიტორიულ მოთხოვნებს, რომელიც კულტურული თვალსაზრისით ერთ სახელმწიფოს გააჩნია მეორის მიმართ;
2. ნებისმიერ ტერიტორიულ მოთხოვნებს, რომლებიც სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოს გააჩნია მეორე სახელმწიფოს მიმართ;
3. ნებისმიერ ტერიტორიულ მოთხოვნებს, რომლებიც ბუფერულ სახელმწიფოს გააჩნია, ნახევრადდამოუკიდებელი მეორე სახელმწიფოს მიმართ;
4. ნებისმიერ ტერიტორიულ მოთხოვნებს, რომლებიც ბუფერულ სახელმწიფოს გააჩნია მეორე სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.

#### ტესტი №5

**სეცესია ნამდვილ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სუვერენულობის პრინციპზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს, რადგან:**

1. იგი ეროვნული უმცირესობის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე არღვევს სუვერენული სახელმწიფოს ერთიანობას;
2. იგი ეროვნული უმცირესობის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე არღვევს მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო კავშირს;
3. იგი ეროვნული უმცირესობის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე არღვევს დიდი შვიდეულის ეკონომიკურ კავშირებს;

4. იგი ეროვნული უმცირესობის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე ამწვავებს სახელმწიფოთა შორის დავას ტერიტორიულ საკითხზე.

ტესტი №6

**ნეორეალიზმის თეორიიდან გამომდინარე:**

1. საერთაშორისო სისტემა თავისთავად - „გამგებელი“ და განმსაზღვრელია იმ ერთეულების ქმედებებისა, რომლებიც ამ სისტემას შეადგენენ;
2. საერთაშორისო სისტემა განისაზღვრება მასში მონაწილე სახელმწიფოთა ბუნებით;
3. საერთაშორისო სისტემას განსაზღვრავს მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების წესები და ნორმები;
4. საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში არსებული ყველა სახის კონფლიქტი.

ტესტი №7

**საერთაშორისო საზოგადოების დროს:**

1. ხელისუფლება გადაეცემა სახელმწიფოთა მთავრობებისაგან გაეროსა და მსოფლიო ბანკს;
2. ხელისუფლება გადაეცემა სახელმწიფოთა მთავრობებისაგან საერთაშორისო ორგანიზაციებს;
3. ხელისუფლება გადაეცემა სახელმწიფოთა მთავრობებისაგან უშიშროების საბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს;
4. ხელისუფლება გადაეცემა დიდ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ კოალიციურ მთავრობას.

ტესტი №8

**ტრანსნაციონალური ტიპის საზოგადოების დროს სახელმწიფო კარგავს:**

1. ეროვნული ვალუტის მნიშვნელობას;
2. საგარეო პოლიტიკურ ფუნქციას;
3. ტერიტორიულ მნიშვნელობას;
4. ეროვნულობას.

ტესტი №9

**საერთაშორისო ბიპოლარული სისტემა ხასიათდება:**

1. სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირით;
2. ერთპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებით;
3. ძალის ორი პოლუსის დომინირებით;
4. საერთაშორისო სისტემის სოციალური საფუძვლებით.

ტესტი №10

**„ძალთა წონასწორობის“ პრინციპის მთავარი მიზანია:**

1. საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა კავშირებისა და კოალიციების შექმნის გზით;
2. სუსტი ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დაცვა სამხედრო კავშირების შექმნის გზით;
3. სამხედრო კოალიციების შექმნა მსოფლიოში ბატონობის მისაღწევად;
4. სამხედრო – პოლიტიკური კავშირების შექმნა რეგიონში ბატონობის მისაღწევად.

ტესტი №11

**საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა ნიშნავს:**

1. როცა საერთაშორისო სისტემა ორგანიზებულია და ემყარება მყარ წესრიგს;

2. როცა საერთაშორისო სისტემა შედგება „არატოლფასოვანი“ ერთეულებისაგან;
3. როცა საერთაშორისო სისტემის ჩარჩოებში მრავალგვარი სისტემური ვარიაციები არსებობს;
4. როცა საერთაშორისო სისტემაში შემაჯავლი სუვერენული სახელმწიფოები აღიარებენ ზემდგომ ხელისუფლებას.

ტესტი №12

**ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“ პირველად გამოიყენა:**

1. ა. ტონბმა;
2. თუკიდიდემ;
3. პ. რეინოლდსმა;
4. ჯ. ბენტანმა.

ტესტი №13

**სახელმწიფოს როგორ ტერიტორიას უწოდებენ ანკლავს?**

1. სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განცალკევებულ ნაწილს, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ტერიტორია აკრავს და საზღვაო ნაპირი არა აქვს;
2. სახელმწიფოს კუნძულოვან ტერიტორიას, რომელსაც სხვა სახელმწიფოზე სახმელეთო გასასვლელი არ გააჩნია;
3. სახელმწიფოთა ან ორ სახელმწიფოს შორის არსებულ საზღვაო ტერიტორიას;
4. სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განუცალკევებელ ნაწილს, რომელსაც სხვა სახელმწიფოთა ტერიტორია აკრავს.

ტესტი №14

**სახელმწიფოს ოროგრაფიული საზღვარია:**

1. როცა სახელმწიფოს საზღვარი სრულად ემთხვევა გეოგრაფიულ პარალელს;
2. როცა სახელმწიფოს საზღვარი გადის გეოგრაფიულ კოორდინატებზე და იშვიათად ემთხვევა პარალელსა და მერიდიანს;
3. როცა სახელმწიფოს საზღვარი წარმოადგენს პირდაპირ ხაზს და აერთებს ორ შემაერთებელ ადგილს რელიეფის გათვალისწინების გარეშე;
4. როცა სახელმწიფოს საზღვრის ხაზი გავლებულია ბუნებრივ მიჯნაზე ადგილის რელიეფის გათვალისწინებით, მთიანი წყალგამყოფისა და მდინარეების ჩათვლით.

ტესტი №15

**XIX საუკუნეში „გავლენის სფეროს“ პრინციპი გამოიყენებოდა:**

1. იმ სახელმწიფოს აღსანიშნავად, რომელიც ფლობდა ფორმალურ ხელისუფლებას;
2. იმ სუვერენული სახელმწიფოს აღსანიშნავად, რომელიც რომელიმე დიდი სახელმწიფოს მოკავშირე იყო;
3. ძირითადად ეს პრინციპი გამოიყენებოდა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისადმი პერიფერიების ურთიერთობის აღსანიშნავად;
4. რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ რომელიმე ქვეყნის ან რეგიონის ბუფერული ზონის აღსანიშნავად.

ტესტი №16

**საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის თანმიმდევრული ცვლა დაკავშირებულია:**

1. დროის კატეგორიაზე;
2. ციკლების თეორიაზე;
3. გავლენის სფეროების შეცვლაზე;

4. სუვერენული სახელმწიფოების წარმოშობაზე.

ტესტი №17

**ფრანგი მოაზროვნე დესტუტ დე ტრესი იდეოლოგიას განმარტავდა, რომ ეს არის:**

1. ფილოსოფოსთა და პოლიტიკოსთა შეხედულებების ერთობლიობა ზნეობასა და სახელმწიფოზე;
2. იდეათა ერთობლიობა, რომელიც ცალკეულ ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს გააჩნია გარემომცველი ცხოვრების ფენომენისადმი;
3. ადამიანთა ან სოციალური ჯგუფების შეხედულებათა ერთობლიობა სახელმწიფოს მართვის პრინციპებზე;
4. ფილისოფოსთა და მეცნიერთა შეხედულებების ერთობლიობა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

ტესტი №18

**ძალთა წონასწორობის ტიპის სისტემა გულისხმობს:**

1. რომ პატარა სუვერენული ქვეყნები ჯგუფდებიან დიდი სახელმწიფოების გარშემო;
2. რომ სუვერენული სახელმწიფოები კავშირების შექმნით მათზე ძლიერ, მოწინააღმდეგე ბანაკის ქვეყნებს უპირისპირდებიან;
3. სუვერენული სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალური ძლიერების მიღწევას და საკუთარი საფრთხის უზრუნველყოფას კავშირების შექმნით;
4. რომ პატარა სუვერენული ქვეყნები ჯგუფდებიან დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ტესტი №19

**„ხისტი“ ბიპოლარული სისტემა სტაბილურია მაშინ:**

1. როცა სახელმწიფოები ბლოკების გარეშე იცავენ ნეიტრალიტეტს;
2. როცა ამ ტიპის სისტემას გააჩნია თვითრეგულირების მექანიზმი;
3. როცა ამ ტიპის სისტემა ინტეგრირებულია;
4. როცა ორივე ბლოკის მონაწილეები იერარქიულად არიან ორგანიზებული.

ტესტი №20

**საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა, როგორც პოლიტიკური მეცნიერება, შეისწავლის:**

1. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა კომპლექსს;
2. სახელმწიფოთა შორის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს;
3. საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობათა კომპლექსს;
4. სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს.

ტესტი №21

**„ბრიუსელის მინიმუმი“ ითვალისწინებს:**

1. ახალი სახელმწიფოს ცნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მომხრეა ამერიკის ზესახელმწიფოდ ქცევისა;
2. ახალი სახელმწიფოს ცნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მომხრეა ადამიანის უფლებების დაცვის;
3. ახალი სახელმწიფოს ცნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მომხრეა დემოკრატიის;
4. ახალი სახელმწიფოს ცნობას იმ შემთხვევაში, თუ ის მომხრეა დემოკრატიის, აღიარებს არსებული საზღვრების ურღვევობას, სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებას და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს.



ტესტი №22

**რას ითვალისწინებდა ტრუმენის „სამართლიანი კურსი“?**

1. საბჭოთა კავშირისადმი ფინანსურ დახმარებას;
2. რუზველტის „ახალი კურსის“ გაგრძელებას და ავრცობდა მას ახალი სოციალური პროგრამით;
3. ითვალისწინებდა მხოლოდ ტაფტის კანონის გაუქმებას;
4. ითვალისწინებდა მხოლოდ მინიმალური ხელფასის გაზრდას.

ტესტი №23

**რას გულისხმობდა „ჰალშტაინის დოქტრინა“?**

1. იმ ქვეყანასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტას, რომელიც აღიარებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას;
2. იმ ქვეყანასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, რომელიც ცნობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას;
3. იმ ქვეყანასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ კულტურულ-მეცნიერული ურთიერთობის გაწყვეტას, რომელიც ცნობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას;
4. იმ ქვეყანასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ეკონომიკური ბლოკადის მოწყობას, რომელიც ცნობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ტესტი №24

**ვის მიიჩნევენ პოლიტიკური მეცნიერების მამათაურად?**

1. პლატონს;
2. არისტოტელეს;

3. პოლიბიოსს;
4. მაკიაველს.

ტესტი №25

**მსოფლიო წესრიგის კონცეფციის თანახმად:**

1. მსოფლიო წესრიგი ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურებს;
2. მსოფლიო წესრიგი ეფუძნება საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურებს;
3. მსოფლიო წესრიგი ეფუძნება ინდივიდების ურთიერთობებსა და მათ მიზნებს;
4. მსოფლიო წესრიგი ეფუძნება დიდი სახელმწიფოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს.

ტესტი №26

**საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა, როგორც პოლიტიკური მეცნიერება, შეისწავლის:**

1. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა კომპლექსს;
2. სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს;
3. მსოფლიოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს;
4. ტრანსნაციონალური კორპორაციების მიზნებს.

ტესტი №27

**რა მიზნით განაცხადა ჯორჯ ვაშინგტონმა უარი მესამედ აერჩიათ ამერიკის პრეზიდენტად?**

1. არ სურდა ამერიკის კონსტიტუციის დარღვევა;
2. მძიმე აგადმყოფობის მიზეზით;

3. არ ისურვა პრეზიდენტის პოსტი გადაქცეულიყო ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარების საშუალებად;
4. წინასწარ გრძნობდა, რომ არჩევნებში დამარცხდებოდა.

ტესტი №28

**დიპლომატიურ აგადმყოფობას უწოდებენ:**

1. როცა პოლიტიკური მოღვაწე ან დიპლომატი აგადმყოფობის გამო არ ესწრება მოლაპარაკებებს;
2. როცა პოლიტიკური მოღვაწე ან დიპლომატი მოგონილი აგადმყოფობით არ დაესწრება მოლაპარაკებას მეორე მხარის წყენინების თავიდან აცილების მიზნით;
3. როცა პოლიტიკურ მოღვაწეს ან დიპლომატს მოუმზადებლობის გამო არ სურს მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება;
4. როცა პოლიტიკურ მოღვაწეს ან დიპლომატს არ სურს მოლაპარაკებებში კონფლიქტური სიტუაციის გადრმაგება.

ტესტი №29

**რა შემთხვევაში შეიძლება ჩამოყალიბდეს „ერთეული ვეტოს“ საერთაშორისო სისტემა?**

1. როცა თითოეული მონაწილე სუვერენული სახელმწიფო იქნება ეკონომიკურად დამოუკიდებელი;
2. ასეთი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია;
3. როცა თითოეულ მონაწილე სუვერენულ სახელმწიფოს ექნება ისეთი იარაღი, რომ შეეძლება ნებისმიერი სახელმწიფოს მოსპობა;
4. როცა თითოეული მონაწილე სუვერენული სახელმწიფო იქნება მსოფლიო წესრიგის განუხრელი დამცველი.

ტესტი №30

**საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას არ გააჩნია:**

1. ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა;
2. ერთიანი ეკონომიკური სისტემა;
3. ერთიანი პოლიტიკური სისტემა;
4. ერთიანი ხელისუფლება.

ტესტი №31

**სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო წესრიგი ქმნის სისტემას, რომ მიღწეულ იქნას:**

1. ამ სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფოების უპირატესი და უკვე მზარდი მიზნები;
2. ამ სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები;
3. ამ სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფოების სამხედრო მიზნები;
4. საერთაშორისო საზოგადოების განვითარების მიზნები.

ტესტი №32

**რით განსხვავდება ერთმანეთისაგან საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიო წესრიგი?**

1. ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან;
2. ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგით;
3. ქვეყნის შიგნით არსებული წესრიგით;
4. საერთაშორისო ფასეულობებით.

ტესტი №33

**საერთაშორისო ურთიერთობათა ფუნდამენტური პრობლემებია:**

1. სახელმწიფოთა შორის ერთიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება;
2. ომის აღკვეთა და საერთაშორისო მშვიდობიანი ურთიერთობა;
3. სახელმწიფოთა შორის ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება;
4. გაეროს მსოფლიოს მთავრობად გადაქცევა.

ტესტი №34

**თანამედროვე რეალიზმის ფუძემდებლად მიიჩნევენ:**

1. ჰანს მორგენტაუს;
2. რაინჰოლდ ნიბურს;
3. მაქს ვებერს;
4. ჯორჯ ქენანს.

ტესტი №35

**დემარში არის შემდეგი სახის დიპლომატიური აქტი:**

1. ერთი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოების თხოვნა, პროტესტი, მოთხოვნა, წინადადება მეორე სახელმწიფოსადმი;
2. ერთი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოების მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი დიპლომატთა იმუნიტეტის დარღვევის შესახებ;
3. ერთი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოების მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ;
4. ერთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ულტიმატუმი მეორე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი.

ტესტი №36

ამ სახელმწიფოებიდან რომელს უწოდებდნენ „ევროპის ავადმყოფ ადამიანს“:

1. ესპანეთს;
2. ალბანეთს;
3. ბულგარეთს;
4. თურქეთს.

ტესტი №37

„ღუზაგუირების“ დროს კეთდება განცხადება:

1. რომ დიპლომატმა წარმატებით გაართვა თავი თავის საქმიანობას;
2. რომ დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გადააჭარბა მინიჭებულ უფლებამოსილებას;
3. რომ დიპლომატმა ამოწურა თავისი უფლებამოსილების ვადა;
4. რომ დიპლომატმა ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა.

ტესტი №38

ვისზე თქვა აშშ სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა: „ჭეშმარიტი მონსტრი იყო საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. იყო დიდი რეალისტი და თავისი დროის რიშელი“:

1. ჩერჩილზე;
2. რუზველტზე;
3. ჰიტლერზე;
4. სტალინზე.

ტესტი №39

**საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ნეორეალისტურ მიმდინარეობას სათავე დაუდო ავტორმა წიგნით:**

1. ტომას ჰობსმა - „ლევიათანი“;
2. კ. კლაუზევიცმა - „ომის შესახებ“;
3. ჯ. ლოკმა - „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“;
4. ქ. უოლცმა - „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“.

ტესტი №40

**კონრად ადენაუერის დიპლომატიის ძირითადი მიზანი იყო:**

1. ფაშიზმის შედეგად ქვეყანაში დამკვიდრებული გაუცხოების გადალახვა და გერმანიის საერთაშორისო თანამეგობრობაში დაბრუნება;
2. გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის იდეების დაცვა;
3. ევროპაში გერმანიის ეკონომიკური უპირატესობის მიღწევა;
4. ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის დამყარება.

ტესტი №41

**საერთაშორისო ურთიერთობები სათავეს იღებს:**

1. პირველი მსოფლიო ომის დასასრულიდან (1918).;
2. ვესტფალიის ზავიდან (1648);
3. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემიდან (1919-1920);
4. მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან (1945).

ტესტი №42

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომელი დიდი სახელმწიფო აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკის ოლიგპზე:**

1. საბჭოთა კავშირი;
2. დიდი ბრიტანეთი;
3. ამერიკის შეერთებული შტატები;
4. საფრანგეთი.

ტესტი №43

**რის შესახებ დაიდო დეიტონის ხელშეკრულება?**

1. ოპიოს შტატში ომის შეწყვეტის შესახებ;
2. პოლონეთში სამოქალაქო ომის შეწყვეტის შესახებ;
3. ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარის გამოყვანის შესახებ;
4. ბოსნია-გერცოგოვინაში ომის შეწყვეტის შესახებ.

ტესტი №44

**საერთაშორისო საზოგადოების სახელმწიფოთა ურთიერთქმედების მარეგულირებელი მექანიზმებია:**

1. საერთაშორისო სამართალი და „ქცევის“ ნორმები;
2. ადამიანის უფლებები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები;
3. ადამიანის უფლებები და სარწმუნოების თავისუფლება;
4. ერთიანი პოლიტიკური სისტემა.

ტესტი №45

**„გენშერ-კოლომბოს ინიციატივის“ არსი მდგომარეობდა:**

1. ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნა „ევროპის აქტის“ საფუძველზე;
2. ევროპის კავშირის შექმნა „ევროპის აქტის“ საფუძველზე;
3. ევროპის სამხედრო კავშირის შექმნა „ევროპის აქტის“ საფუძველზე;



4. ევროპის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ტესტი №46

**ფ. დალესის „უკუგდების დოქტრინა“ მიზნად ისახავდა:**

1. დასავლეთს შეესუსტებინა კომუნიზმის პოზიციები საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე;
2. ამერიკას შეეკავებინა კომუნიზმის გავრცელება დასავლეთ ევროპაში;
3. დასავლეთს შეესუსტებინა კომუნიზმის გავრცელება ჩრდილოეთ აფრიკაში;
4. დასავლეთს ეკონომიკური ბლოკადა მოეწყო კომუნისტური ორიენტაციის ქვეყნების წინააღმდეგ.

ტესტი №47

**საერთაშორისო საზოგადოების იდეა დაკავშირებულია:**

1. ერაზმ როტერდამელის სახელთან;
2. ჰუგო გროციუსის სახელთან;
3. მარტინ ლუთერის სახელთან;
4. ფრანსუა კალიერის სახელთან.

ტესტი №48

**ძალთა წონასწორობის ფუნქციაა:**

1. მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება;
2. მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო ძლიერების გაზრდა;
3. საერთაშორისო სისტემის შენარჩუნება;
4. სუსტი ქვეყნების დანაწევრება.

ტესტი №49

**საზღვრების დემარკაცია ეწოდება:**

1. სახელმწიფო საზღვრის ადგილზე გატარებას და მისი სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით აღნიშვნა-დაფიქსირებას;
2. სახელმწიფო საზღვრების დადგენის შესახებ დადებულ სამმხრივ ხელშეკრულებას;
3. სახელმწიფო საზღვრების აღწერას;
4. სახელმწიფო საზღვრების დამდგენი კომისიის სამუშაო გეგმას.

ტესტი №50

**1946 წელს ქ. ფულტონში უინსტონ ჩერჩილის გამოსვლამ სათავე დაუდო:**

1. ატლანტიკის ქარტიის შექმნას;
2. ეროპის ერთიანი თავისუფალი ბაზრის შექმნას;
3. ღია კარის პრინციპს მსოფლიო ვაჭრობაში;
4. „ცივი ომის“ დაწყებას.

ტესტი №51

**ქ. უოლცის მიხედვით სახელმწიფოთა შორის მეტოქეობას განსაზღვრავს:**

1. ანარქიული საერთაშორისო სისტემა;
2. ადამიანთა ბუნება;
3. იდეოლოგიური დაპირისპირება;
4. სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონე.

ტესტი №52

**„სამკუთხა დიპლომატიის“ ავტორი იყო:**

1. ჰარი ტრუმენი;
2. ჰენრი კისინჯერი;
3. ჯონ კენანი;
4. მარგარეტ ტეტჩერი.

ტესტი №53

**გრძელი ციკლების თეორიაში ერთმანეთთან დაკავშირებულია:**

1. ჰეგემონ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისები, რომელიც შემდეგში დიდ ომებში გადაიზრდება;
2. ჰეგემონ სახელმწიფოებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისები, რომელიც შემდეგში საერთაშორისო ბაზარზე კონფლიქტებში გამოიხატება;
3. მსოფლიო ეკონომიკური აღმავლობისა და სტაგნაციის გრძელი ტალღები, ჰეგემონი სახელმწიფოების აღზევება, დაცემა და დიდი ომები;
4. მსოფლიო ეკონომიკური სტაგნაცია და ჰეგემონი სახელმწიფოების დაცემა.

ტესტი №54

**გოლდსტაინის თეორიის თანახმად მსოფლიო ეკონომიკური აღმავლობის პროცესი მოსალოდნელია 1995-2020 წლებში და იგი დაემთხვევა:**

1. აშშ-ის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის დაკნინების პროცესს;
2. რუსეთის, როგორც მსოფლიო ჰეგემონისკენ მიმავალი სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმავლობას;
3. ევროკავშირის დაშლის პროცესს;
4. ჩინეთის, როგორც მსოფლიო ჰეგემონისკენ მიმავალი სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაბატონებას.

ტესტი №55

**ჰენრი კისინჯერის „ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ნაწილობრივი დარეგულირების“ კონცეფციის არსი იყო:**

1. არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირება აშშ-სა და საბჭოთა კავშირის შუამავლობით;
2. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დაყოფა პატარა პრობლემებად და მისი გადაჭრა აშშ-ის შუამავლობით;
3. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მთლიანობაში დარეგულირება აშშ-ის შუამავლობით და საბჭოთა კავშირის სრული იგნორირებით;
4. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მთლიანობაში დარეგულირება აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შუამავლობით.

ტესტი №56

**ჰანს მორგენტაუს „ძალთა ბალანსის“ კონცეფციის მიხედვით:**

1. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკა არის მსოფლიოში წონასწორობის დამყარებისათვის ბრძოლა;
2. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკა, არის მსოფლიოში აშშ-ის გაბატონებისათვის ბრძოლა;
3. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკა, არის მსოფლიოში ევროკავშირის ეკონომიკური გაბატონებისათვის ბრძოლა;
4. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკა, არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

ტესტი №57

**რომელია აქედან ხელშეკრულება?**

1. ნოტა;

2. გზავნილება;
3. მემორანდუმი;
4. დეკლარაცია.

ტესტი №58

**რიშელიემ თავის ნაშრომში - „პოლიტიკური ანდერძი“ დაამუშავა:**

1. მუდმივი მოლაპარაკებების თეორია;
2. მშვიდობის დაცვის თეორია;
3. ომის წარმოების თეორია;
4. პოლიტიკური კავშირების თეორია.

ტესტი №59

**ინგლისის საგარეო პოლიტიკური კურსის „ბრწყინვალე იზოლაციის“ არსი მდგომარეობდა:**

1. ინგლისის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხანგრძლივი ვადით კავშირების დადებაზე თანხმობა, რათა მიეღწია ჰეგემონობისათვის ევროპასა და მსოფლიოში;
2. ინგლისის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დროებითი შეთანხმების დადება, რათა მიეღწია ევროპაში ჰეგემონობისათვის;
3. ინგლისის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხანგრძლივი ვადით კავშირების დადებაზე უარის თქმა, რათა მიეღწია ევროპულ და მსოფლიო პოლიტიკაში ჰეგემონობაზე;
4. ინგლისის მიერ სხვა სახელმწიფოებთან 5 წლის ვადით ხელშეკრულების დადებაზე, რათა მიეღწია მსოფლიო პოლიტიკაში ჰეგემონობისათვის.

ტესტი №60

**დოლარის დიპლომატია ნიშნავს:**

1. პოლიტიკური ზემოქმედებით აშშ-ის მიერ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ დაკაბალებას;
2. ეკონომიკური ზემოქმედებით აშშ-ის მიერ სხვა ქვეყნების დაკაბალები-სადმი მიმართულ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას;
3. სამხედრო ზემოქმედებით აშშ-ის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკურ დაკაბალებას;
4. პოლიტიკური ზემოქმედებით აშშ-ის მიერ არაბული ქვეყნების ეკონომი-კურ დაკაბალებას.

ტესტი №61

**ტრადიციული ორმხრივი დიპლომატიისაგან განსხვავებით მრავალმხრივი დიპლომატია იყენებს:**

1. საჯარო განხილვისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხერხებს;
2. ოფიციალური ვიზიტების საჯარო განხილვის ხერხებს;
3. მიღებული რეზოლუციების საჯარო განხილვის ხერხებს;
4. მიღწეული შეთანხმების საჯარო განხილვის ხერხებს.

ტესტი №62

**კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია გულისხმობს:**

1. რომ საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოე-ბი ერთადერთი მოქმედი პირები არიან;
2. რომ საერთაშორისო სისტემაში ტრანსნაციონალური კორპორაციები ერთადერთი მოქმედი პირები არიან;
3. რომ საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოე-ბი ერთადერთი და გამორჩეული პირები არ არიან;
4. რომ საერთაშორისო სისტემაში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ტესტი №63

**იმანუილ კანტის აზრით მარადიული მშვიდობისათვის სამი პირობა უნდა არსებობდეს. ესენია:**

1. ა) ყოველი სახელმწიფო უნდა იყოს სუვერენული; ბ) საერთაშორისო სამართალი უნდა ეფუძნებოდეს სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ წყობას; გ) საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი;
2. ა) ყოველი სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული; ბ) საერთაშორისო სამართალი უნდა ეფუძნებოდეს სუვერენული სახელმწიფოების სამხედრო კავშირს; გ) საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი;
3. ა) ყოველი სახელმწიფო უნდა იყოს რესპუბლიკა; ბ) საერთაშორისო სამართალი უნდა ეფუძნებოდეს სუვერენული სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს; გ) საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი;
4. ა) ყოველი სახელმწიფო უნდა იყოს სოციალისტური; ბ) საერთაშორისო სამართალი უნდა ეფუძნებოდეს სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერალურ კავშირს; გ) საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი.

ტესტი №64

**დიპლომატიური კორპუსი წარმოადგენს:**

1. საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებულ ინსტიტუტს;
2. არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებულ ინსტიტუტს;

3. წარმოადგენს ნაწილობრივ საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმებზე დაფუძნებულ ინსტიტუტს;
4. წარმოადგენს დიპლომატთა გაერთიანებას და ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ტესტი №65

**საერთაშორისო სისტემა აიგება და ფუნქციონირებს:**

1. სუსტი სახელმწიფოების ინტერესებისა და ფასეულობების თანახმად;
2. დიდი შვიდეულის ინტერესებისა და ფასეულობების თანახმად;
3. ჰეგემონი სახელმწიფოების ინტერესებისა და ფასეულობების თანახმად;
4. რეგიონული სახელმწიფოების ინტერესებისა და ფასეულობების თანახმად.

ტესტი №66

**სახელმწიფოს პრესტიჟი გამოძინარეობს:**

1. სახელმწიფოთა რეალური ან წარმოსახული ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებიდან;
2. სახელმწიფოთა კულტურულ-მეცნიერული პოტენციალიდან;
3. სახელმწიფოთა მაღალი დემოკრატიული განვითარების ხარისხიდან;
4. სახელმწიფოთა საამაყო ისტორიული წარსულიდან.

ტესტი №67

**ყველაზე გაერცვლებული განმარტების თანახმად „საერთაშორისო რეჟიმი“ არის:**

1. ჰეგემონ სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე მოცემულ სფეროში განცხადებული პრინციპები და ნორმები,



რომლებშიც ერთმანეთს ემთხვევა მონაწილეთა სურვილები და მოლოდინი;

2. ზესახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე მოცემულ სფეროში განცხადებული პრინციპები და ნორმები, რომლებიც ემთხვევა რეგიონული სახელმწიფოების სურვილებსა და მოლოდინს;
3. ზესახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე მოცემულ სფეროში განცხადებული პრინციპები და ნორმები, რომლებიც ემთხვევა სუსტი სახელმწიფოების სურვილებსა და მოლოდინს;
4. საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე მოცემულ სფეროში განცხადებული ან ნაგულისხმევი პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურები, რომლებშიც ერთმანეთს ემთხვევა მონაწილეთა სურვილები და მოლოდინი.

ტესტი №68

**აგრემანი არის:**

1. სახელმწიფოს მთავრობის თანხმობა მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირის დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშვნის გამო;
2. სახელმწიფოს მთავრობის უარი-მიიღოს მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირი დიპლომატიურ წარმომადგენლად;
3. ორ სახელმწიფოს შორის მიმოწერა დიპლომატიური წარმომადგენლის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების შესახებ;
4. მიმღები სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის უარი მიიღოს მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირი დიპლომატიურ წარმომადგენლად.

ტესტი №69

**დოკუმენტი „დასკენითი აქტი“ წარმოადგენს:**

1. ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების მოკლე შინაარსს;
2. ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც სარატიფიკაციოდაა გამზადებული;
3. დოკუმენტს, რომელიც აჯამებს საერთაშორისო კონფერენციის, კონგრესის ან თათბირის მუშაობას;
4. დოკუმენტს, რომელიც აჯამებს უმაღლეს დონეზე მთავრობის მეთაურთა შეხვედრების მუშაობას.

ტესტი №70

**ტერმინი „დიპლომატიური ენა“ დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოიყენება:**

1. იმ ენის აღსანიშნავად, რომელზეც დგება დიპლომატიური ოქმი;
2. იმ ენის აღსანიშნავად, რომელზეც დგება დასკვნითი აქტი;
3. იმ ენის აღსანიშნავად, რომელზეც დგება ხელშეკრულება;
4. იმ ენის აღსანიშნავად, რომელზეც დგება დიპლომატიური დოკუმენტები.

ტესტი №71

**მ. დიდი საერთაშორისო ურთიერთობებს აფუძნებდა:**

1. დიდი სახელმწიფოების სამხედრო ძალის კონცეფციაზე;
2. ზესახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების კონცეფციაზე;
3. ეროვნული უსაფრთხოებისა და ძალთა წონასწორობის კონცეფციაზე;
4. სუსტი სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კონცეფციაზე.

ტესტი №72

**ძალაუფლების გადანაწილებას სახელმწიფო ხელისუფლებასა და რეგიონალურ ერთეულებს შორის ეწოდება:**

1. კონსტიტუციონალიზმი;
2. ლეგიტიმიზაცია;
3. ფედერაცია;
4. უნიტარიზმი.

#### ტესტი №73

**დღეისათვის არსებული განმარტებით სუსტი ანუ პატარა ქვეყანაა:**

1. რომელსაც პატარა ტერიტორია გააჩნია;
2. რომელსაც საკუთარი ძალებით არ შეუძლია ეროვნული ინტერესების დაცვა;
3. რომელიც ტერიტორიულად არაა პატარა, მაგრამ ეკონომიკურად სუსტია;
4. რომელიც ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით სუსტია.

#### ტესტი №74

**გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის:**

1. სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას;
2. სახელმწიფოს სუვერენიტეტს;
3. სახელმწიფოს ეკონომიკურ წყობას;
4. სპობს სახელმწიფოს.

#### ტესტი №75

**ეგზეკვატურის ფორმა დგინდება:**

1. იუსტიციის სამინისტროს დადგენილებით;
2. პარლამენტის დადგენილებით;
3. ქვეყნის მეთაურის ბრძანებით

4. სახელმწიფოს შინაგანი კანონმდებლობით.

ტესტი №76

**რაიმონ არონმა სახელმწიფოთაშორისი მშვიდობის სამი ტიპი გამოყო, ესენია:**

1. ა) იმპერია; ბ) ჰეგემონია; გ) წონასწორობა;
2. ა) რესპუბლიკა; ბ) ჰეგემონია; გ) წონასწორობა;
3. ა) იმპერია; ბ) თანასწორობა; გ) წონასწორობა;
4. ა) რესპუბლიკა; ბ) თანასწორობა; გ) წონასწორობა.

ტესტი №77

**მისიის მეთაურის ძირითადი ფუნქციაა:**

1. შეასრულოს პარლამენტის ინსტრუქციები და პასუხი გასცეს გამოთხოვილ ინფორმაციებზე;
2. შეასრულოს სახელმწიფოს მეთაურის დავალებები და პასუხი გასცეს გამოთხოვილ ინფორმაციებზე;
3. შეასრულოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციები და პასუხი გასცეს გამოთხოვილ ინფორმაციებზე;
4. შეასრულოს სახელმწიფო მეთაურის დავალებები და პასუხი არ გასცეს გამოთხოვილ ინფორმაციებზე.

ტესტი №78

**კარლ ჰაუსოფერი თვლიდა, რომ:**

1. პატარა ქვეყნები დიდი ქვეყნების შემადგენლობაში უნდა შევიდნენ
2. პატარა ქვეყნები ფედერაციის საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ;
3. პატარა ქვეყნები ეკონომიკურად დიდ ქვეყანად უნდა იქცნენ;

4. პატარა ქვეყნები დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროებად უნდა დაიყვნენ.

ტესტი №79

**„ინტერესთა კონფლიქტი“ განისაზღვრება, როგორც ვითარება:**

1. რომელშიც მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების მიღწევას არ ცდილობენ;
2. რომელშიც მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების მიღწევას ცდილობენ;
3. რომელშიც მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებზე სრულ კონსენსუსს აღწევენ;
4. რომელშიც მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებზე ნაწილობრივ შეთანხმებას აღწევენ.

ტესტი №80

**„სტიმონის დოქტრინის“ მიხედვით:**

1. ინგლისი თანხმობას აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შექმნილი ტერიტორიების დიპლომატიურ ცნობაზე;
2. აშშ თანხმობას აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შექმნილი ტერიტორია ექცია საერთაშორისო სამართლის მსჯელობის საგნად;
3. აშშ უარს აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შექმნილი ტერიტორიის დიპლომატიურ ცნობაზე;
4. ინგლისი უარს აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შექმნილი ტერიტორიის დიპლომატიურ ცნობაზე.

ტესტი №81

**„ესტოპელი“ ნიშნავს:**

1. სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უფლების მიღებას;
